



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine


საქართველო

მწვანე ეკონომიკის მიმართულებით:
ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის
– 2019-20 წლებში განხორციელებული
სამუშაოები



Action implemented by:





ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის – 2019-20 წლებში მიმდინარე სამუშაოები

2019 წლიდან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ ეხმარება საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ხუთ ქვეყანასთან ერთად მწვანე ტრანსფორმაციის გზაზე. პროგრამა ხელს უწყობს ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და ხალხის ეკოლოგიური კეთილდღეობის ზრდას გარემოსდაცვითი აქტივობების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებითა და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთესად მართვის მექანიზმების შექმნით.

2020 წლის სამუშაოებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა COVID-19 პანდემიამ. ამ უპრეცედენტო გლობალური გამოწვევის მიუხედავად, პროგრამა აგრძელებდა დაგეგმილ ღონისძიებებს, რამაც ადგილზე კონკრეტული შედეგები გამოიღო.

წინამდებარე ბროშურაში მიმოხილულია „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ ფარგლებში 2019 - 20 წლებში განხორციელებული ღონისძიებები და საქართველოში და რეგიონულ დონეზე მიღწეული შედეგები.



უფრო „მწვანე“ გადაწყვეტილებების მიღება



- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სახელმძღვანელო ჰიდროენერგეტიკული სექტორისათვის: „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ ეხმარება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდროენერგეტიკის სექტორში გზშ-ს სახელმძღვანელოს შემუშავებაში, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტრანსსასაზღვრო ასპექტებზე.

- მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის სასწავლო კურსი: თორმეტმა საჯარო მოხელემ მიიღო მონაწილეობა ონლაინ სასწავლო კურსში. მათ შეისწავლეს თუ როგორ განიხილონ, გაანალიზონ და გამოიყენონ მწვანე ეკონომიკის, მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მიდგომები პოლიტიკასა და სტრატეგიებში ეროვნული და დარგობრივ დონეზე.



იცოდით თუ არა? გზშ და ჰიდროენერგეტიკის სექტორი: ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში გზშ-ის ეფექტურად და ეკოლოგიურად გამოყენება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც მრავალი ტრანსსასაზღვრო მდინარეს მოიცავს. 2020 წლიდან ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) - პროგრამის „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ ერთ-ერთი განმახორციელებელი პარტნიორი - დახმარებას უწევს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდროენერგეტიკის სექტორისათვის გზშ-ს სახელმძღვანელოს მომზადებაში. სახელმძღვანელო ეფუძნება ევროკავშირის გზშ-ს დირექტივას, ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციას (ესპოს კონვენცია) და საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს და ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გარემოს დაცვის მაღალი ხარისხისა და ჰიდროენერგეტიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.



წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები



- **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები:** “ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის” აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შემუშავების მიზნით. პროგრამა დახმარებას უწევს სააგენტოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლების მომზადებაში, მდგრად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში.
- **ეკომარკირების ხელშეწყობა:** “ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის” დახმარებით მოხდა ეკო-მარკირების (ეტიკეტირების) სქემების შეფასება და შემუშავდა ეკო-მარკირების გზამკვლევი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს წარედგინებათ 2021 წლის აპრილში დაგეგმილ ტრენინგზე.
- **ეკო-ინოვაციების განვითარება მცირე და საშუალო საწარმოებში:** „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ დაეხმარა მცირე და საშუალო საწარმოებს ახალი ბიზნეს მიდგომების დანერგვაში, რათა მათ მოახდინონ ხარჯების შემცირება, ნარჩენების მინიმიზაცია და პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება. ამჟამად საქართველოში დასრულების ფაზაშია ეკონომიკის იმ სექტორების განსაზღვრა, რომლებიც უფრო არიან მზად ეკო-ინოვაციური მიდგომების დასაწერად. შემდგომ ეტაპზე ამ სექტორებში შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებს გაეწევათ საკონსულტაციო მომსახურება.
- **ექვსი მუნიციპალიტეტი ჩართულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ინოვაციური გადაწყვეტილებების მოძიებაში:** ღონისძიებაზე, რომელიც მიეძღვნა ეკო-ინოვაციებსა და რესურსეფექტურ და სუფთა წარმოებას (RECP), შეიკრიბნენ ექვსი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. მათ იმსჯელეს როგორ შეიძლება მუნიციპალიტეტებში არსებულმა მცირე და საშუალო საწარმოებმა, რომლებიც ეძებენ გზებს გარემოსდაცვითი საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, გააუმჯობესონ რესურსების ეფექტური გამოყენება და სამრეწველო ნარჩენების მართვა.

- **რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ორი ახალი კლუბის ჩამოყალიბება:** მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონების ხელმძღვანელობამ ერთობლივად უმასპინძლა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გამართულ ტრენინგებს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა საწარმომ.
- **ენერგომენეჯმენტის სისტემებზე ტრენინგი:** რესურსეფექტური და სუფთა წარმოების 30-ზე მეტმა ექსპერტმა საქართველოდან და სომხეთიდან შეისწავლა ხორცის, შოკოლადის და ლითონის გადამამუშავებელ სექტორებში მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგომენეჯმენტის პრობლემები. გაიმართა დისკუსია ენერგოაუდიტის შესახებ, წარმოდგენილ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მეთოდოლოგიის გამოყენების მაგალითები.
- **ეროვნული წარმოების გამწვანებაში გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:** ჩატარდა ტრენინგი წარმოებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ. ტრენინგი დაეხმარა მონაწილეებს უკეთ გაეგოთ გენდერული სტერეოტიპები და მათი გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე; განხილულ იქნა გენდერული ასპექტები რესურსეფექტური და სუფთა წარმოების და წრიული ეკონომიკის სფეროებში; წარმოდგენილ იქნა საქართველოს საბაზისო სტატისტიკა გენდერული თანასწორობის მიმართულებით.



იკოდით თუ არა? რესურსეფექტური და სუფთა წარმოება: 200-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნეს საწარმოს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, შეეთავაზათ ესარგებლათ რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) შეფასებების მიზნით საკონსულტაციო მომსახურებით. მათ შორის იყვნენ საწარმოები შეფუთვისა და თხილის გადამამუშავებელი სამრეწველო ჯგუფებიდან, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში “ევროკავშირის ინოვაციური მოქმედება კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში”. ამ უკანასკნელი ჯგუფის რამოდენიმე საწარმო შეუერთდა მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონებში ჩამოყალიბებულ რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბებს.

დარგობრივი პოლიტიკა მწვანე ეკონომიკაზე გადასასვლელად: საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული მდგრადი განვითარების ან მწვანე ზრდის სტრატეგია. თუმცა 2020 წლის გამავლობაში ქვეყანამ მოამზადა და დაამტკიცა რამოდენიმე დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტი აუცილებელი მწვანე ეკონომიკაზე გადასასვლელად, მათ შორის დადგენილებები მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის შესახებ (EPR), რაც მოიცავს ოთხი სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენის მართვას (ნახშირი ზეთები, მანქანის საბურავები, აკუმულატორები და ელექტრონული მოწყობილობები); 2020 წელს მიღებულ იქნა ახალი ტყის კოდექსი; შეტანილ იქნა ცვლილებები კანონში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ; ქვეყანამ მიიღო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია; დაამტკიცა რამოდენიმე კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ; 2021 წელს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა კანონპროექტი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ.



თანაბარი გარემოსდაცვითი პირობები



- **სავალდებულო წესები მეფრინველეობის სექტორისათვის:** „ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ დაეხმარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის სექტორისათვის ზოგადი სავალდებულო წესების კრებულის (GBR) შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების გარემოზე ზემოქმედების შემცირებას მათთვის ზედმეტი შემზღუდავი ზომების დაწესების გარეშე.
- **პროგრესის შეფასება მცირე და საშუალო საწარმოების გამწვანებაში:** მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის ინდექსის შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოში ამ ტიპის საწარმოების გამწვანებისათვის მთელი რიგი გეგმების შემუშავებული. მათ შორისაა საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია (2016-2020). პროგრამას „ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ წვლილი შეაქვს მცირე და საშუალო საწარმოების ახალი განვითარების სტრატეგიის (2021-2025) შემუშავებაში მწვანე ზრდაზე ფოკუსირებით.
- **მწვანე საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამის შემუშავება:** უზრუნველყოფს სახელმწიფო მოხელეებისა და ექსპერტების ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას მწვანე სახელმწიფო დანახარჯების პროგრამის შემუშავებაში, რათა მათ შეძლონ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადეკვატური რესურსების მიღება და საერთაშორისო დაფინანსების მოზიდავეობა.
- **მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება:** გამოცემა (ინგლისურ-ქართული) ეხება საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებში მწვანე ინვესტიციების განხორციელების გზაზე არსებულ გამოწვევებს. მასში ყურადღება გამახვილებულია ასეთი პროექტების დაფინანსებაში კომერციული ბანკების როლზე. პუბლიკაციაში წარმოდგენილი ძირითადი დასკვნები განხილულ იქნა ეროვნული პოლიტიკის შესახებ

დიალოგის ფარგლებში იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლონ სხვადასხვა პარტნიორებმა იმისათვის, რომ მოხედეს კერძო ფინანსირების უფრო ეფექტური მოზიდავება მცირე და საშუალო ბიზნესში მწვანე, ე.წ. დაბალნახშირბადიანი, ენერგოეფექტური ინვესტიციების განსახორციელებლად. მწვანე ინვესტიციების სარგებელის შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად მცირე და საშუალო საწარმოებში გარემოს დაცვის მსოფლიო დღის კამპანიის ფარგლებში მომზადდა ელექტრონული ბარათები ინგლისურ და ქართულ ენებზე.

- **წიაღისეული საწვავის სუბსიდირებზე 2010-2019 წლების მონაცემების შეგროვება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD/IEA) მონაცემთა ბაზისთვის:** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს/საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (OECD/IEA) მონაცემთა ბაზაში აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს ჩართვა მნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყანაში წიაღისეული საწვავის სუბსიდირების გამჭვირვალობის მისაღწევად. ამით აღიარებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავრობების მცდელობები ხელმოსაწვდომო გახადონ ინფორმაცია ენერგეტიკის სექტორებში მთავრობების მხარდაჭერის წილზე.
- **მწვანე ობლიგაციების ბაზრის პოტენციალის გახსნა:** დოკუმენტში გაანალიზებულია მწვანე ობლიგაციების გამოყენების შესაძლებლობა მოიზიდოს დამატებითი რესურსები დაბალნახშირბადიან და მდგრად ეკონომიკაზე გადასასვლელად.
- **გარემოს დაცვის სექტორის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება:** დაიწყო ანალიზი ეკონომიკის გამწვანების ადმინისტრაციული შესაძლებლობების შესაფასებლად, ნაკლოვანებების დასადგენად და რეფორმების განსახორციელებლად რეკომენდაციების შემუშავებისათვის.



იცოდით თუ არა? აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, წიაღისეული საწვავის სუბსიდირების მონაცემები ასახულია ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (OECD-IEA) წიაღისეული საწვავის სუბსიდირების მონაცემთა ბაზაში და ინტეგრირებულია OECD-ის მწვანე ზრდის ინდიკატორების მონაცემთა ბაზაში. მაგალითად, 2018 წელს საქართველოში წიაღისეული საწვავის ჯამურმა სუბსიდიამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,09%. ამ ფინანსური მხარდაჭერის დაახლოებით 25% გაეწია წიაღისეული საწვავის მწარმოებლებს, ხოლო 75% - მომხმარებლებს. ეწვიეთ: <https://stats.oecd.org/>



ეკოსისტემური სერვისები და საარსებო წყაროები

- **ბიომრავალფეროვნება და მდგრადი სატყეო მეურნეობა:** 2020 წლის ბოლოს ევროკავშირსა და მსოფლიო ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რაც საშუალებას აძლევს მსოფლიო ბანკს 2021 წელს შეუერთდეს პროგრამას „ევროკავშირის გარემოს დაცვისთვის“. ეს ხელს შეუწყობს ეკოსისტემების სერვისების და საარსებო წყაროების განვითარებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. პროგრამის ფარგლებში დასახული მსოფლიო ბანკის ღონისძიებები

გააძლიერებს ზურმუხტის ქსელს და არსებული დაცული ტერიტორიების მართვას, აგრეთვე ხელს შეუწყობს ტყის უკეთ კონსერვაციას და მდგრად გამოყენებას, უკანონო ვაჭრობის პრევენციას, ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემების სერვისებისათვის ახალი მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.



საქართველოში COVID-19 გამოწვევებზე „მწკვირვარე“ რეაგირების ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელი აღინიშნა COVID-19 პანდემიის უპრეცედენტო გლობალური გამოწვევით, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. შეზღუდვების დაწესებამ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, სადაც რეგიონში ყველაზე დიდი წილი (70%) სერვისებზე მოდის. საქართველოში უცხოური ფულადი გზავნილები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 13%-ს შეადგენს. ფულადი გზავნილების შემცირებამ, იზოლაციის ზომების გატარებამ და მიგრანტების მიმღებ ქვეყნებში უმუშევრობის ზრდამ განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები გამოიღო. პანდემიის სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას კიდევ უფრო ამძაფრებს უმუშევრობის მაღალი დონე (11,6% 2019 წელს) და დიდი მასშტაბის არაფორმალური სექტორის არსებობა (დაახლოებით 50%). საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2020 წელს საქართველოს მშპ-ის ვარდნა მოსალოდნელია -5%-ით, 2019 წლის 5.1%-იან ზრდასთან შედარებით, და 2021 წელს ეკონომიკა კვლავ გაიზრდება 5%-ით.


ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ, პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შესამსუბუქებლად, საქართველომ განახორციელა გადაუდებელი ღონისძიებები. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი, რაც მიმართულია გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად:

- **ზემოქმედების შემსუბუქება:** ანტიკრიზისული ღონისძიებები საქართველოში მიმართულია პანდემიის ბიზნესზე ეკონომიკური ზემოქმედების მინიმიზაციისაკენ და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისაკენ. კრიზისმა აჩვენა

სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი

მოსახლეობა, 2019: 3.997 მილიონი

რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, 2019: 13 404 USD 2015



ეკონომიკის დივერსიფიკაციის საჭიროება. ამას მოჰყვა არაერთი მხარდაჭერის პროგრამა, უფრო მიზნობრივი და სექტორებზე ორიენტირებული აქტივობებით, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესზე გათვლილი სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში", რომლის ბიუჯეტი გაიზარდა 350 მლნ. ლარამდე (დაახლოებით 88 მლნ. ევრო) ბიზნესის ხელშესაწყობად, ასევე სპეციალური პროგრამა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და წარმოების განვითარებისათვის 300 მლნ. ლარიანი ბიუჯეტით (დაახლოებით 75 მლნ. ევრო).



● **ბიზნესის მხარდაჭერა:** “მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, აწარმოე საქართველოში ეხმარება მცირე ფირმებს, რომლებიც ორიენტირებულია მწვანე, ინოვაციურ და ეკოლოგიურ ბიზნესზე. ასეთი საწარმოებისთვის საგრანტო თანხა 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო თანადაფინანსების მოთხოვნა 20%-დან 10%-მდე შემცირდა. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 40 მლნ. ლარამდე (დაახლოებით 10 მლნ. ევრო). პროგრამის სამიზნე ტერიტორიულ ერთეულებს დაემატა თბილისი.

● **ფერმერების მხარდაჭერა:** საქართველომ აამოქმედა რამოდენიმე პროგრამა ფერმერების მხარდასაჭერად. ერთ-ერთი მათგანია “დანერგე შენი მომავალი”, რომელიც ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურებისათვის სარწყავი სისტემების დამონტაჟების თანადაფინანსებას.

● **სოფლის განვითარება:** საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირსა და გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად დაიწყო 9 მლნ. ლარის ღირებულების (დაახლოებით 2,3 მლნ. ევრო) საგრანტო პროგრამის განხორციელება, რომელიც დაეხმარება სოფლის მოსახლეობას COVID-19 კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების დაძლევაში, პროგრამა უზრუნველყოფს არასასოფლო-სამეურნეო დამწყები/მზარდი საწარმოებისათვის თითო პროექტზე 170 000 ლარის (დაახლოებით 43 000 ევროს) გამოყოფას და 30 000 ლარამდე (დაახლოებით 7 500 ევრო) თანხით დააფინანსებს მენარმეებს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

● **ნარჩენების პრევენცია:** საქართველომ გაზარდა ჯარიმები სამშენებლო და სამედიცინო ნარჩენებით დაბინძურებაზე 25-ჯერ ფიზიკურ პირთათვის და 10-ჯერ იურიდიული პირთათვის.

● **ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება:** პარლამენტმა მიიღო კანონები ენერგოეფექტურობისა და შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ, რითაც ქვეყანა მიუახლოვა ევროკავშირის სტანდარტებს ამ სფეროში.

● **ცნობიერების ამაღლება გარემოსა და ჯანმრთელობაზე:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ევროკავშირის მხარდაჭერით წამოიწყო ევროკავშირის მწვანე კვირეულის კამპანია ლოზუნგით „ერთად უკეთესი გარემოსთვის“. კამპანია ორიენტირებულია საზოგადოების ფართო ფენებზე, ხალხისათვის და მისი ჯანმრთელობისათვის სუფთა გარემოს მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით საქართველოს ძალისხმევების მხარდასაჭერად პროგრამის “ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის” ფარგლებში ჩატარდა **ვირტუალური კონსულტაცია** ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლებთან. მონაწილეებმა განიხილეს COVID-19 პანდემიის პირობებში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება პროგრამის „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ აქტივობების უფრო ეფექტური გამოყენება კრიზისიდან გამოსასვლელად - „მწვანე გაჯანსაღებისათვის“.



იცოდით თუ არა?

„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ პროგრამამ განაახლა თავისი **ვებგვერდი**. სადაც ვრცლად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე პოლიტიკის განხორციელების საკითხები. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ საინფორმაციო ბიულეტენის 329 გამოშვები, ხოლო სოციალურ ქსელში 150 000-მდე მიმდევარი ყავდა. გამოიწერეთ ჩვენი ახალი საინფორმაციო ბიულეტენები **newsletters** და დაემატეთ ფეისბუქის გვერდზე **Facebook**.


მნიშვნელოვანი რეგიონული აქტივობები

- **რეგიონული სემინარი: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების და ტრანსასახელმწიფო გზა-ს პრაქტიკაში გამოყენება:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან გარემოსდაცვითი სექტორის 40-ზე მეტმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მათ შორის საქართველოდან, გაუზიარა ერთმანეთს გამოცდილება ეროვნული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის შემუშავების კუთხით. გარდა ამისა, მათ გაიარეს მიზნობრივი ტრენინგები გარემოს შეფასების ინსტრუმენტებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების თაობაზე.
- **ტრანსასახელმწიფო გზა-ს პროცედურები/ესპოს კონვენციის შესახებ ვიდეო:** ხელს უწყობს ტრანსასახელმწიფო გზა-ს პროცედურების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მათი გამოყენების სარგებელის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- **გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემებზე რეგიონული ტრენინგი:** 50-ზე მეტმა ექსპერტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მონაწილეობა მიიღო პრაქტიკულ ტრენინგში. ავსტრიის შოკოლადის მწარმოებლის მაგალითზე მონაწილეებმა განიხილეს წარმოების სრული ციკლი - კაკაოს მარცვლებით დაწყებული, საბოლოო პროდუქტის მიღებით დამთავრებული. მათ ასევე განიხილეს და შეიმუშავეს (EMS) გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ძირითადი საფეხურები - დაინტერესებული მხარეების ანალიზიდან შესაბამისობის მონიტორინგამდე.
- **რეგიონული სემინარი ეკო-ინდუსტრიული პარკების შემოღების მიმართულებით:** 140-ზე მეტმა მონაწილემ აღმოსავლეთ პარტნიორობისა და შუა აზიის ქვეყნებიდან განიხილა ეკო-ინდუსტრიული პარკების ფუნქციონირება. გამოყენებულ იქნა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, როგორცაა პარკის რეზიდენტების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რესურსეფექტურობისა და წრიული ეკონომიკის ხელშეწყობა და ინოვაციური გზების გამოძებნა პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის განსავითარებლად.
- **რეგიონული სემინარი საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე (BAT):** 50-ზე მეტმა მონაწილემ მიმოიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი. ისაუბრეს არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებზე, სხვა პარტნიორი ქვეყნების და ევროკავშირის წევრებისგან მიიღეს ინფორმაცია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების განმოყენების მხარდაჭერის კუთხით ახალი მიდგომების შესახებ.
- **რეგიონული სემინარი გარემოსდაცვითი კონტროლის უზრუნველყოფის საკითხებში რისკზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ:** დაახლოებით 50-მდე ოფიციალურმა პირმა და ექსპერტმა, მათ შორის საქართველოდან, გაუზიარა ერთმანეთს გამოცდილება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გარემოსდაცვითი კონტროლის მიზნით რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებაში. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელებისა და აღსრულების ევროკავშირის ქსელი (IMPEL).
- **ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის პროგრამის რეგიონული ასამბლეის ორ შეხვედრაზე მიმოიხილულ იქნა პროგრესი პროგრამის განხორციელების გზაზე და მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდგომ სამოქმედო გეგმებზე.** შეხვედრებზე ასევე მოხდა რეგიონული ცოდნის გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.




რას გვუბნება მონაცემები?


1 გარემოს დაცვა და რესურსეფექტურობა: დაბალი CO2 ემისიები და მაღალი ენერგოეფექტურობა ნიშნავს, ნაკლებ დაბინძურებას, უფრო მეტად რესურსეფექტურ ეკონომიკას, რაც დადებითად აისახება გლობალურ კლიმატზე და გარემოზე.




2 ცხოვრების ხარისხის გარემოსდაცვითი პარამეტრები: უმცირესი ნაწილაკების ნაკლები ემისიები გარემოში გულისმობს უფრო სუფთა ჰაერს და ჯანმრთელ ადამიანებს, რაც ნიშნავს ნაკლებ ხარჯს სახელმწიფოსთვის.



3 ბუნებრივი რესურსები: ბუნებრივი რესურსების სტაბილური მარაგების შენარჩუნება უზრუნველყოფს მათ მდგრად გამოყენებას, რაც აუცილებელია მწვანე ეკონომიკაზე გადასასვლელად.



4 ეკონომიკური შესაძლებლობები და პოლიტიკის რეაგირება: წიაღისეული საწვავის სუბსიდირების გაუქმებამ შეიძლება შეამციროს ფისკალური დეფიციტი, გახადოს განახლებადი ენერგია უფრო კონკურენტუნარიანი, შეამციროს ნახშირბადის ემისიები და ჰაერის დაბინძურება.



პროგრამა „ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის„ შესახებ



Action funded by the European Union

„ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ წარმოადგენს ერთიან სტრატეგიულ ჩარჩო ინიციატივას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას: მწვანე გადაწყვეტილებების მიღება, მდგრადი ეკონომიკა და მწვანე ზრდა, გონივრული გარემოსდაცვითი რეგულაციები, ეკოსისტემების დაცვა და ცოდნის გაზიარება.


- ბიუჯეტი: დაახლოებით 20 მილიონი ევრო აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნისთვის (19.5 ევრო, ევროკავშირის წვლილი).
- ხანგრძლივობა: 2019-2022

- განმახორციელებელი ორგანიზაციები: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი.


- საერთო ხელმძღვანელობა: ევროკომისია

- მთავარი ეროვნული პარტნიორები საქართველოში: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

„ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ მოკლე მიმოხილვა: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2020




190-ზე მეტმა პირმა მიიღო მონაწილეობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) ტრენინგში;



100-ზე მეტმა პირმა უკრაინაში მიიღო მონაწილეობა მწვანე ეკონომიკის სასწავლო კურსში;



90-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო მიიღწევს რესურსფექტურ და სუფთა წარმოებას COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის დაძლევის პროცესის განუყოფელ ნაწილად.



მოგვეყვით:



www.eu4environment.org/



www.facebook.com/EU4Environment-100539842031096



www.youtube.com/channel/UCi1GrwqTT-WJ30ztZMPq3xw



www.flickr.com/photos/182351066@N07



<http://eepurl.com/gUNbg1>

დაგვეკონტაქტეთ:



eu4environment@oecd.org

განცხადება პასუხისმგებლობის შეზღუდვებზე: წინამდებარე „ქვეყნის პროფილი“ შექმნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტი ასახული მოსაზრებები არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოების ან/და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ოფიციალური პოზიცია. ეს დოკუმენტი მთლიანობაში და მასში შეტანილი ნებისმიერი შინაარსი ზიანს არ აყენებს ამა თუ იმ ტერიტორიის სტატუსს, ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრების დელიმიტაციას და ასევე რომელიმე ტერიტორიის, ქალაქის ან ოლქის დასახელებას.

წყაროები: OECD სტატისტიკა (OECD Statistics) მწვანე ზრდის ინდიკატორებზე (მოსახლეობა, რეალური მშპ, ეკონომიკური სტრუქტურა, კარგი მმართველობის ინიციატივა (GGIs); მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა (ფულადი გზავნილები); საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური პერსპექტივა (მშპ და უმუშევრობის პროგნოზები); OECD დოკუმენტი „COVID-19 კრიზისზე რეაგირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (ფულადი გზავნილები, არაფორმალური სექტორი, ნიადაგის მოპოვების მონაცემები, COVID-19-ზე „მწვანე რეაგირება“); საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) დოკუმენტი „ქალი და კაცი არაფორმალურ ეკონომიკაში: სტატისტიკური სურათი“ (არაფორმალურობა); ქვეყნის წარმომადგენლების გამოსვლები „ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ ქვეყნების კონსულტაციებში (COVID-19-ზე „მწვანე“ რეაგირება); ეროვნული კოორდინატორებისა და განმახორციელებელი პარტნიორების მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია.

Action implemented by:

